

1941

რედაქცია

კომუნისტი
ბიზნეს-ბიურო

10/2 41
5
187

№5 1941 წ.



ნახ. თ. კაკიაშვილიძე

ღარწმუნა

ზოგიერთი წარმოების ხელმძღვანელი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მასალების აღრიცხვისა და მოვლის საქმეს

შემახვევა, როდესაც დირექტორმა იგარძნო, რომ დეტალების აღრიცხვისა და მოვლის გარეშე ფეის გადადგმა შეუძლებელია.

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ПОДСЕЛЕНИЕ

დაბარებული განხილვა



მე გადავწყვიტე ავწერო, თუ როგორ გალამაზდა იმ ქარხნის ეზო, რომლის დირექტორადაც თვით თქვენთვის აქამდე უცნობი პირობა გაჯგინებულია:

— აი ხის გაჯგინებული კაბინეტში და ფიქრობს, მის მაგიდის გააწვრივ კი — კაბინეტის მტკრიან კუთხეში ჰგრიდან ჩამოშვებულა ობობა და ჰქსოვს ვეებერთელა ბადეს.

— საკვირველია, — ამბობს გაჯგინებული თავის ფიქრში, — აი ეს ობობა ხომ პატარა არსებაა, მაგრამ თავის საქმეს მინც ერთპიროვნულად უძღვება, სრული წესრიგი აქვს დამყარებული მუშაობის ტექნოლოგიურ პროცესში.

— ამ სიტყვებზე (ფიქრში) კალამს მელანში ჩააწებს და ბლოკნოტის ფურცელზე რალაცის ჩანისვენას აპირებს, მაგრამ ისევ ფიქრს უბრუნდება.

— ჰო, ამ ტექნოლოგიურ პროცესზე გამახსენდა, — გუშინ სარანდავი ჩარხის ლერძი გატყდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩარხი არ მუშაობს.

და უცბად ხარს რეკავს.

— საჩარხავ საამქროს გამგეს დამიძახე, — უბნება შემოსულ შიკრიკი. შიკრიკი გადის, გაჯგინებული კი — კვლავ ფიქრს განაგრძობს.

— შერე როგორ მოწესრიგებული აქვს ამ პატარა არსებას სამუშაო დროის განაწილების საქმე: ჰქსოვს თავის ბადეს სრული დატვირთვით როცა უნდა, არავითარი გაჩერება.

მან კვლავ კალამი ჩააწო და კვლავ რალაც უნდა ჩაეწერა, მაგრამ კვლავ ფიქრს დაუბრუნდა:

— მართლა, ამ დატვირთვამ მომაგონა, ჩემს ცოლის ძმას, თეოდორეს ესე იგი ჩვენი სამწუთო ნაწილის გამგეს ზედმეტი დატვირთვის ხელფასი უნდა გამოუწერო.

ამის შემდეგ დირექტორი კვლავ ხარს რეკავს და შიკრიკი შემოდის.

— მთავებო! — უბნება ის მოკლე და შიკრიკი გადის. გაჯგინებული ისევ უყურებს აბლაბუდას ქსოვის პროცესს.

— არა, საინტერესო ის არის, რომ ნედლი მასალის დამზადების საქმეც კარგად უნდა ჰქონდეს დაყენებული ამ პატარა არსებას. შეუფერხებელი გადააქვს ის მზა პროდუქციის მისაღებად და თანაც არავითარ წუნს არ ღებულობს.

ამ სიტყვებზე კვლავ რალაც გაახსენდა, კვლავ შერედა და ბლოკნოტს დახედა.

— ჰო, მართლა, ამ წუნის ხსენებამ მომაგონა ჩვენმა ჩამომსხმელმა საამქრომ რომ წუნდებული კბილანები გამოუშვა, როგორმე უნდა შევაპარო იმ ფაბრიკას, თვარა არ იქნება ასე, ჩემო ძმაო, წუნის პროცენტი გვეზრდება და წლიურ ანგარიშში როგორღა შევალამაზოთ? ჩემის აზრით, ამ წუნს ის იწვევს რომ.

— შეიძლება? — შემოილაპარაკა ამ დროს მახუთში იდაყვებამდე ამოთხვრილმა კაცმა.

ის საჩარხავ საამქროს უფროსი იყო.

— შეიძლება, მაგრამ რა არის რომ ასე ამოთხუპნულხარ მახუთში? არ იცი, რომ ახლა სისუფთავეს დიდი ყურადღება ექცევა? საყვედურით მიუგებს გაჯგინულიძე.

— ეგ მე ყოველთვის ვიცოდი — და ახლაც ვიცი, ჩემს საამქროზე სისუფთავეს მხრივ საყვედურს ვერ იტყვიან მაგრამ.

— „მაგრამ“ რა — ჩვენ ხომ არაფერში გვისაყვედურებ? თქვენ საკითხს აზოგადობთ ამხანაგო დირექტორო, ჩვენ სისუფთავეზე ვლაპარაკობდით.

— დილ სისუფთავეზე.

— ამ მხრივ ერთობ ბევრია სათქმელი.

— მაგალითად?

— მაგალითად ის, რომ ქარხნის ეზო პირდაპირ ნაგვის საყრდელს წარმოადგენს. ალაყაფიდან დაწყებული საამქროების კარებამდე მთელი გორები დგას ნამტვრევებისა, სხვა და სხვა დეტალებისა და ნაგვისა.

— შერე და რატომ ყრით ნაგავს ბიძია? ნაგავი არ უნდა დაყაროთ, რაც შეეხება ნამტვრევებს, ეს ხომ გადასაყრელი არაა შე კაცო, ნამტვრევები უნდა შევიანოთ.

— კი არ უნდა შევიანოთ, უნდა გამოვიყენოთ, გადავარჩიოთ, დავაინაოთ და დანიშნულებისამებრ მოვიხმაროთ.

— სწორი ხარ ბიძია, სწორი, — ეგ კარგი სთქვი.

— სა-შე ის არის, რომ ამ ნამტვრევებში საღი და გამოსადეგი მასალებიც ურევია, რომლებიც ნაგავში და მზე-წვიმაში ფუჭდება.

— რა იცი შენ?

— როგორ არ ვიცი. აი ჩვენი საამქროს პირდაპირ ნაგვის ზეინში გუშინაც მქნევარას ბორბალი აღმოაჩინეს და გამოიყენეს კიდევ.

— მართლა თუ კაცი ხარ? როგორ აღმოაჩინეს?

— შემთხვევით: დარაჯს ფიცრის ნაჭრები უნდოდა ამოეღო, ვერ იქნა და ვერ დაძრა, საამქროდან ბიჭები მიეხმარნენ, გადასწიეს რომის ნატეხები, ძველი ღებები და ამოადრეს ფიცრები.

— აი, მქ ვერას ახალი ბორბალიო, — დიძაბა ამ დროს იმ დაზვის შეგირდმა, რომელსაც ეს ნაწილი დიდხანია, რაც დაზიანებული აქვს.

— ეგ ჩინებული ამბავია, ყოჩაღ ბიჭებო.

მთავებში შემოვიდა, გაჯგინებული უცბად მას მიუბრუნდა.

— იცი რა გითხრა კვილიო? ჩვენ საჩარხოდ უნდა გადავკეთოთ ერთი საქმე, — ბრძანეთ.

— გადაშინჯეთ ძველი დუბლიკატები, ჩანაწერები და ამონაწერები.

— რისი?

— დაზამშენ ქარხნიდან რომ დეტალებს ვიძენთ იმისი.

— სახელდობრ რის შესახებ?

— შე კაცო, აგერ ამ კაცს საამქროში მთავარი დაზა გაუჩნდა — ლერძის გატების გამო.

— დაზა მუშაობს ამხანაგო დირექტორო, — შეაწყვეტინა მას ხელზე მახუთი-ანმა კაცმა, — დაზა მუშაობს, ლერძი გადავებით მაგრამ დიდხანს არ გასძლებს, საჭიროა ახლით შევცვალოთ.

— მართლა, თუ ძმა ხარ? როდის შეაკეთებ?

— გუშინვე.

— აი, ყოჩაღ, მე კი არ ვიცოდი, ჰოდა, იმას გუბნებოდი, კვირიონ, გასულ ხაფხულს ხომ გამოვძწერეთ ლერძი?

— გამოვიწერეთ? — გამოვიწერეთ?

— ხომ გადავიხადეთ ფული?

— გადავიხადეთ!

— ხომ მივიღეთ ლერძი?

— ძივიღეთ.

— ხომ არის ის სახელმწიფო ქონება?

— არის.

— შერე სადაა ძმაო?

— ეგ საწყობის გამგე უნდა იცოდეს.

— უნდა იცოდეს, მაგრამ არ იცის, უნდა მოეძებნოთ.

— სად მოეძებნოთ საწყობში თუ არაა? დაკარგულა თუ?

— აბა, პა! მაგისთანა რამ არ გამოგონო. ამხელა კაცი ვარ და ჯერ არაფერი დამკარგვია, წარმოიდგინეთ მხოლოდ ერთხელ დამკარგა კოსტუმის ქილეტი და რვა თვის შემდეგ ისიც ვიპოვე.

— როგორ?

— ისე ... ვძებნი — არაა ქილეტი, ავაფორიაქე სახლი, ყველაფერი გადავბრუნე, — დაიკარგა. ვიფიქრე — მოსამსახურემ მომპარა მეთქი და დავითხოვე.

— მოიპარავდა, თვარა აბა რა იქნა? — შეაგება კვირიონმა.

— არა, არ მოუპარავს, რვა თვის შემდეგ აღმოვაჩინე.

— სადა?

— აბანოში აღმოვაჩინე, შენ წარმოიდგინე.

— როგორ, იქ დაგჩინოდათ?

— არა, საქმე სხვანაირად იყო.

— მაინც?

— შეველი აბანოში, გავიხადე ბინჯაკი, შემდეგ ჯემპრი — ჩემი ბატონი შენ ხარ, გავიხადე იმის შემდეგ „საროქა“, შემდეგ ფუფაკა, და რას ვხედავ: ქე მაცვია ზედ ჩემი ქილეტი.

— პა, პა, პა, პა, — გადინარხარა ხელმემახუთიანმა კაცმა, — კვირიონმა ცოდნავ ჩაიხიბოთო.

— აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თურმე ფუფაკის ქვეშ მცმია ქილეტი და სანამ სულ არ გავიხადე ტანზე — მისი პოვნა არ იქნა.

— უბერხული სირხე ჩამოვარდა. ის კვლავ გაჯგინულიძემ დაარღვია.

— ჰოდა, თქვენ კი ამბობთ, ლერძი დაიკარგებოდაო, — ჩემს ხელში არაფერი დაიკარგება ბიძია, — ის უნდა მოიძებნოს.

— შეიძლება? — შეაწყვეტინა სიტყვა მას ახლად შემოსულმა პარტკომის მდივანმა.

— რას იტყვი სილიბისტრო? გამარჯობა შენი.

— რაიკომის წარმომადგენლების მითითებით, როგორც გუშინ გულაპარაკეთ, ჩვენ ვატარებთ ქარხნის ეზოს გასუფთავებას, ერთი საამქროს წინ ნამტვრევებისა და ჩემქის ზეინის გადაწვევის დროს ასეთი ამბავი მოხდა: — ნამტვრევებში აღმოაჩინეს დაზვის ახალი ლერძი, ორი ბორბალი და ერთი ვარგისი კბილანა.

— გაჯგინულიძემ აღარ აცალა:

— ა, ბიძია, ხომ გითხარით, ჩემს ხელში არაფერი დაიკარგება მეთქი? ბიჭო, ერთხელ ქილეტი რომ დამეკარგა, ის აღმოვაჩინე და, მაგას ვერ აღმოვაჩინდი?


— ჰოდა, ამის გამო, გვაქვს მითითება, — ჩავატაროთ ქარხნის გენერალური დასუფთავება, — შედეგები უნდა ვაცნობოთ სადაც ჯერარს — დაბბოლავა სილიბისტრომ.

— ჩავატაროთ, „პაუალუსტა“ მე წინააღმდეგი არ ვარ, — აბა, ამხანაგებო, მაშასადამე შეუღებთ საქმეს, — კვირიონ შენთან პატარა საქმე შექვს მერე გამა-ხ-ნე.

— ამით დამთავრდა მსჯელობა და თქვენ წარმოიდგინეთ, თვით გაჯგინულიძეც კი გამოვიდა კაბინეტიდან, რომ საამქროებში შესულიყო.

— შინაწერი: გენერალური დასუფთავება წარმატებით ჩატარდა ნაგავში და ნამტვრევებში სხვაგვარი აღმოაჩინეს გამოსადეგი დეტალი, — ვარგისი ყველაფერი გაზიდეს. ესლა ქარხნის ეზო მშვენიერ მდგომარეობაშია, იქ აღარ არის ჩემქი.

აღარც გაჯგინულიძეა იქ.



ბათლომე ბლისკინელს სახელმწიფო გამოცდების სესიაზე უკანასკნელი საგანი ღარჩა ჩასაბარებელი.

ხუთი დღის შემდეგ მასაც ჩააბარებს და დიპლომს მიიღებს. ხუთი დღის შემდეგ მის ცხოვრებაში უდიდესი გარდატეხის საათი ჩამორეკავს: თორმეტი წლის დაძაბული სწავლის შემდეგ იგი ცხოვრების თავისებურ საგზურს—დიპლომს მიიღებს და შეუდგება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. იგი სუბტროპიკულ მცენარეთამცოდნეობის სპეციალისტია. კერძოდ კი ჩაის მეურნეობაა მისი სპეციალური დარგი.

—სუფთა ხელობაა—ცხოვრობ პოეტურ მიდამოში და თავს ევლები ჩაის სურნელოვან ბაღნარს. რა სჯობია შენს პროფესიას? —სერიოზული ტონით უთხრა ერთხელ ბათლომეს სოფლიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა პოეტმა, რომელიც უკვე ცნობილი იყო როგორც რამდენიმე სატირული ლექსის ნიჭიერი ავტორი.

—დამცინის... მასხარად მიგდებს. თვითონ თბილისში ჩამოსულა და უკვე რომელიღაც რედაქციაში ეწყობა და მე კი საღლატო ჭინკებთან, ოჩხამურში უნდა გადავიკარგო,—გაიფიქრა გულში ბათლომემ.

ოჩხამურის გახსენებაზე მთელი დამე აღარ სძინებია. მხოლოდ განთიადისას ჩათვლიმა. ჩათვლიმა და ნეტავ არ ჩათვლიმა. მოსვენებისა და თავდავიწყების ნაცვლად კომპარული სიზმარი ნახა. ნახა ვითომ ბლისკინელი მიწსახკომის კადრების განყოფილებაში გამოიძახეს. გამოიძახეს და დანაშაულში გამოტეხილ პატიმარვით ეკითხებთან:

- თქვენი სახელი?
- ბათლომე.
- გვარი?
- ბლისკინელი.
- ეროვნება?
- ქართველი.
- წლოვანება?
- 1919 წელს დაბადებული.
- სად დაიბადეთ?
- ნატანების ახლოს.
- კერძოდ, რომელ რაიონში და სოფელში?
- სოფელ ვაშნარში. მახარაძის რაიონში.
- განათლება—უმაღლესი? სპელიაცობა?
- ჩაის მეურნეობა.
- დიპლომი მიიღეთ?
- არ მიმიღია.
- სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეთ?
- ჩააბარე.
- მამ ხვალვე მიიღებთ. სამი დღის შემდეგ აქ გამოცხადდებით და დანიშვნის ბარათს გაგიშვებთ.
- სად გაგზავნიან?
- ოჩხამურში...

ოჩხამურის გახსენებაზე სხეულში ცივმა ერუანტელმა დაურბინა. უნდა მიატოვოს თბილისი თავისი პროსპექტებით, თეატრებით, ტაქსომოტორებით, ტროლეიბუსებით, მწერლებისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა მოწვევებულური ძეგლებით, ათასსანთლიანი სანათურებით, გიგანტური მშენებლობით. ფუნქციონირის და მუშაობის პარკებით, საბანაო აუზებით, ხეივანებით, მუზეუმებით, ახალი ქარვასლებით, სავსე ვიტრინებით და ვინ ჩამოსთვლის კიდევ რით?

მეორე სად არის ყოველივე ეს ოჩხამურში? რა არის ოჩხამურში?

—კი მაგრამ, რატომ მაინც და მაინც ოჩხამურში?

—მამ რა პერსპექტივას ისახავ!—გაესაუბრა სინიდისის ხმა.

—დავრჩები აქვე, თბილისში. ამ ქალაქში ნახევარი მილიონი მოქალაქე ცხოვრობს, ნახევარი მილიონი მოქალაქე სუნთქავს, არსებობს და ნუთუ მხოლოდ ჩემთვის მოისპობა საშუალება რომ სხვებთან ერთად მეც ვისუნთქო მისი ჰაერი?

—ეგ მაშინ, როცა თბილისის პროსპექტებზე გაგიშენდება ჩაის პლანტაციები.

—არ მინდა ჩაი. ლაბორანტად ვიმუშავებ.

—შეგიძლია—ოჩხამურში?

—არა, თბილისში.

—არავინ საჭიროებს.

—საქმართველად ვიმუშავებ.

—არ არის მოთხოვნილება.

—მდივანად?

—არ ივარგებ.

—გადამწერად?

—ეგ შტატი აღარ არსებობს. მემანქანეები ასრულებენ.

—რეგისტრატორად?

—მაგისტრის ზეპირობდი ჩაის ტექნოლოგიას?

—რაც გინდა ის მითხარი, არ წავალ თბილისიდან.

—უნდა წახვიდე გვეალბა.

ბათლომეს გაეღვიძა.

—კიდევ კარგი რომ ყველაფერი სიზმარი იყო.—გაიფიქრა მან.

—შენზე სახელმწიფომ უმაღლეს სკოლაში ხუთ წელიწადს სწავლების დროს ათასი მანეთები დახარჯა, სახალხო დოვლათი. ნუ თუ შენ გენანება, რომ შენი ცოდნა შენს აღმზრდელ ქვეყანას ისე მოახმარო, როგორც მინი ინტერესი მოითხოვს?—კვლავ მოესმა შინაგანი ხმა.

ორი წლის შემდეგ ოჩხამურიდან თბილისში გამოძახებული ბათლომე ბლისკინელი კვლავ მიწსახკომის კადრების განყოფილებაში იყო.

—ჩვენ გვინდა ოჩხამურიდან თბილისში გადმოვიყვანოთ. მოიფიქრეთ და ხვალ მომეცით პასუხი.

—ახლაც შემიძლია ვიპასუხოთ. ბევრს ჩვენგანს საქმის გაცნობამდი ყალბი შეხედულება აქვს რაიონში მუშაობის შესახებ, მეც ამ აზრის ვიყავი, მაგრამ თურმე სასტიკად ვცდებოდი. მე პირადად დავრწმუნდი, რომ ყველგან, სადაც ახალი ცხოვრება შენდება, ერთი ანდაზის არ იყოს, საბჭოთა მოქალაქის ბაღდადი არის. გამომიყენეთ, სადაც საჭიროდ მიიჩნევთ...

ბათლომე გაჩუმდა. უცებ მას მოაგონდა, ორი წლის წინად ნახული სიზმარი.

რაიონში წასვლის შემდეგ ბათლომეს მსგავსი სიზმარი აღარ უნახავს.

ი ა მ ს ო ვ ა

ნახ. დონისა

საამქროს უფროსებს ხშირად ავალბებენ სეთ ამუშაოს, რასაც მათ ძირითად საქმესთან კავშირი არა აქვთ.



ამაჰიკი. (დაწესებულების უფროსს) არ წავიღებ კონვერტს! რა ჩემი საქმეა! საამქროს უფროსი ხომ არ ვარ, ყველაფერი მე დამევალოს?!
4

მეღუჯა.



— რა ამბავია! ეს რა უსუფთაობაა შენს კაბინეტში, ან შენ რას გეცხარ?

— რა გქნა გენაცვალე! ორ კვირაზე მეტია სისუფთავისა და კულტურულ უოფაცხოვრების შესახებ მოხსენებას ვამზადებ.

ხალ მცალია ჩემს თავს შიგნულს!

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას მიერ აფხაზურ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“.



ესე პოემა რუსთველის—აფხაზურ ნათარგმანები, გამართული და უნაკლო და არა საკოჭმანები—გვამშვენებს, ჰხარობს ამითა ყოველ აფხაზის გულია, ამა საქმისა მკმნელია ჩვენი დიმიტრი გულია.

ი. ს.

ვინ დააგაფლა პატივცემული კოტე?

დიდი ტემპერამენტით ამბობდა სიტყვას რემმარაგაფორმების ტრესტის საქმეთა მმართველი კოტე ჩელაშვილი საერთო კრებაზე.

—და ყველაფერი ეს, ამხანაგებო, ყვიროდა იგი ჩახლეჩილი ხმით, —გააკეთა ჩვენი დაწესებულების დირექტორმა ძვირფასმა დიომიდემ ბარდიძემ...

დირექტორი არაჩვეულებრივ უხერხულობას გრძნობდა თავგასული ორატორის ენაუხვობის გამო და რამდენჯერმე თვალით ანიშნა კიდევ სხვა რაიმეზე ელაპარაკნა, მაგრამ საქმეთა მმართველი არ სცხრებოდა.

—კაცო, რეგლამენტი აღარ არსებობს მაგ ოჯახტორისთვის? —მოუთმენლად ჰკითხა დირექტორმა გვერდით მჯდომ ამხანაგს. უკანასკნელმა გაახსენა კრების თავმჯდომარეს რეგლამენტის დაცვა, მაგრამ ორატორი კიდევ უფრო ხრინწიანი ხმით ყვიროდა:

—დაუშვავთ, ამხანაგებო, ერთი წუთით ამხანაგებო, რომ რემმარაგაფორმების ტრესტს ამხანაგებო, არ ყოლოდა სათავეში ისეთი დირექტორი, ამხანაგებო, როგორცაა ამხ. დიომიდე, ამხანაგებო, რა მოხდებოდა მაშინ?

—არაფერიც არ მოხდებოდა, —ვედარ მოითმინა დირექტორმა, —გათავეთ თუ კაცი ხართ და ბევრს ნუ ურახუნებთ, არ არის საჭირო თქვენი ხობტა.

ამ მოულოდნელმა თავდასხმამ შეაჯრო ორატორი. ამავე დროს იგი დაიბნა. ალბად კარგად ვერ დავახსიათე დირექტორის მოღვაწეობა—გაიფიქრა და ეძებდა საშუალებას დაემტკიცებინა დირექტორისათვის თავისი სიყვარული.

იმ დღეს არაფერი, ხოლო მეორე დღეს მან გაზეთში სამგლოვიარო განცხადებებს გადაავლო თვალი და ერთ მათგანს ჩააქერდა. ჭირისუფლები იუწყებოდნენ ვინმე პართენ ბარდიძის გარდაცვალებას.

—ამ კაცის გარდაცვალება გამომადგება! —გაიფიქრა ჩელაშვილმა. იმ დღესვე მიიკითხა-მოიკითხა და, თუმცა გაიგო, რომ გარდაცვალებული პართენ ბარდიძე არავითარ ნათესაურ კავშირში არ იმყოფებოდა რემმარაგაფორმების ტრესტის დირექტორ დიომიდემ ბარდიძესთან, მაგრამ საქმეთა მმართველმა მაინც გამოხანა გამოსავალი, რათა დირექტორისათვის თავისი ღრმა პატი-

ვისცემა დაემტკიცებინა. მან ასეთი განცხადება მოათავსა გაზეთში:

კოტე ჩელაშვილი ცოლით ვასასით, შვილებით ცუცათი და პანტელით, სიძით ბარნაბით, დით პასიკოთი, სიმამრით ფანალოზით, ცოლის ძმებით ივანეთი და პეტრეთი იუწყებოდნენ რემმარაგაფორმების ტრესტის დირექტორის საქმეთა მმართველი დიომიდემ ბარდიძის გარდაცვალებას.

სამგლოვიარო განცხადების შემოღწეული სახით გამოქვეყნებამ საშინლად გააჯავრა დირექტორი. მან გამოუძახა პირმოთხენე საქმეთა მმართველს თავის კაბინეტში:

—თქვენ მე პირდაპირ მასხრად მიგდებთ, —უყვიროდა დირექტორი საქმეთა მმართველს, —რაც სულელური განცხადებებით და გამოსვლებით უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ.

დარცხვენილი გამოვიდა კაბინეტიდან კოტე.

—ცხადია ცუდად მომივიდა, რომ მართო ერთი სამგლოვიარო განცხადება მოვათავსე გაზეთში, —ფიქრობდა იგი, —სიძისა და სიმამრის სახელით ცალკე უნდა გამომეცხადებინა. ერთი ნეკროლოგიც რომ მომეხერხებინა მთლად კარგი იქნებოდა.

შემდეგ კოტე ჩელაშვილმა ადგილობრივ კედლის გაზეთში მოათავსა საკმაოდ ვრცელი წერილი დირექტორ დიომიდემ ბარდიძის მუშაობის შესახებ. წერილი ასე მთავრდებოდა.

—... მისი პირადი და, რაც მთავარია, შუვალთ ხელმძღვანელობით, აგრეთვე თვის მისი გამჭირავებოდა თვალთახედვის შედეგად ჯანში ჩვენ მივალწიეთ გამფორმებულური მუშაობის წინააღმდეგისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარ წინმსვლელობას.

ვაშა და კიდევ ვაშა ჩვენს დირექტორს დიომიდეს!

საქმეთა მმართველს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ასეთი ქებათა შესხმის შემდეგ უზრუნველყოფილი იყო მისი დაწინაურების ამბავი.

დირექტორმა იმ დღესვე გამოუძახა კაბინეტში მას.

—იცით რა უნდა გითხრათ ჩემო კარგო? —სთქვა დირექტორმა.

—არა. —უპასუხა საქმეთა მმართველმა, რომელიც მოუთმენლად მოელოდა დირექტორისაგან დიდ მადლობას.

—აი წაიღეთ ქალაღი და გაატარეთ ბრძანებაში, შემდეგ შემომიტანე ხელმოსაწერად.

—ცხადია ჩემი დაწინაურების შესახებ იქნება რაიმე, —გაიფიქრა საქმეთა მმართველმა და ქალაღი სწაფად გააქანა ბრძანებაში გასატარებლად, მაგრამ...

პოი, უმადურობავ! ქალაღზე წითელი მელნით ძალიან მარტივი ქართულია იყო დაწერილი:

„...დღის რიცხვიდან მოხსნას თანამდებობიდან საქმეთა მმართველი კოტე ჩელაშვილი როგორც მლიქნელი და უსაქურო“.

—ცხადია ვილაკამ ცუდად დამაბეზლა დირექტორთან, —ეუბნებოდა ცოლს ყოფილი საქმეთა მმართველი. დიახ, სწორედ ვილაკამ დამაბეზლა.

გენო ლიაძე



შნატგარი:—მაგინებენ: ყველა შენი ნახატი სტანდარტიაო, წარმოების დირექტორებს კი სტანდარტის დაუცველობის გამო პასუხისგებაში აძლევენ!

კ ა ვ ა რ ა მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი

მისი წარმოდგენით

თეატრის დირექტორის კაბინეტის კარებ-
თან ერთი ახალგაზრდა მოქალაქე მივიდა.

—არ შეიძლება დღეს არავის ლებუ-
ლობს.—უთხრა მდივანმა.

—მეგობრის წერილი მაქვს.—უპასუხა
ახალგაზრდამ.

—მოვასხენებ და გეტყვით—უთხრა მდი-
ვანმა. დირექტორთან შევიდა, მალე ისევ
გამოვიდა სტუმარს მიმართა:

—მიბრძანდით.

დირექტორის კაბინეტში ასეთი დიალოგი
გამართა:

—მამ სამსახურში მოწყობა გინდათ?

—დიახ!

—მსახიობად ხომ არ ყოფილხართ?

—არა.

—ცეკვა ხომ არ იცით?

—არა.

—გრძობორად ხომ არ გამოდგებით?

—არა. არც ვიცი მაგ სიტყვის შინაარსი.

—სტატისტიად?

—არასოდეს არ ყოფილვარ.

—სცენარისტად?

—არც მაგ საქმეში გამოვდგები.

—ელექტრომონტიორად?

—ღმერთმა დამიფაროს! სულ გადავწვავ
თეატრის მთელ შენობას.

—მამ რა გიყოთ? გამოდის, რომ თქვენი
შესაფერისი თანამდებობა ჩვენს დაწესებუ-
ლებაში ვერ მოგვინახავს...

—სიმართლეა. ნახვამდის.—თქვა სტუ-
მარმა და კარებისაკენ გაემართა, მაგრამ
იგი დირექტორის მტკიცე ხმამ შეაჩერა:

—მოიცაო! მოიცაო! არც აგრეა საქმე.
კიდევ დამრჩა ერთი პროფესია, რომელშიც
ყველა ადამიანი გამოდგება.

—რა მოვალეობაა ასე რომ მიადვილებო?

—სულ უბრალო: საესტრადო ნომრები
უნდა დაგვიწერო.

მოლაპხე

სახლების კომენდანტი დაბუაშვილი სუსტი
მუშაობის გამო სამსახურიდან მოხსნეს, მაგ-
რამ მოკლე ხანში სხვა რაიონში მოეწყო.

თვალის ახვევის მიზნით დაბუაშვილმა თა-
ვი დამკვრელად გამოაცხადა.

სახლში. სადაც კომენდანტი სცხოვრობდა,
მდგმურებმა კედლის გაზეთი გამოუშვეს. იმ
ადგილის ზევით, სადაც გაზეთი გააკრეს,
კედელი გაბზარული იყო.

დაბუაშვილმა გაბზარულ კედელს ვეებერ-
თელა ლოზუნგი წაათარა—შემდეგი შინა-
არსის:

„არ დავტოვოთ შეუკეთებლად არც ერთი
მილიმეტრი ფართობი“.

წამოკვედიანთი ტივილიანი

დამწყები მწერალი იასონ მარხელი დი
დი რომანის წერას შეუდგა.

ორი კვირის შემდეგ რომანის პირველი
თავი მეგობარ კრიტიკოსს წაუკითხა კრიტი-
კოსმა გულწრფელობა იხმარა და ამხანაგის

ნაშრომის ღირსება გააცამტვერა იასონი
კვლავ ახალი რომანის წერას შეუდგა.

ორი კვირის შემდეგ ახალი რომანის პირ-
ველი თავი კვლავ მეზობელ კრიტიკოსს
წაუკითხა.

კვლავ უარყოფითი შეფასება მიიღო.

—ჯერ რომანის მთელი შინაარსი უნდა
გაიზარო. სიტუატი უნდა გაითვალისწინო და
შემდეგ კი წერას. შეუდგე. ნაწარმოე-
ბის მთლიანი გეგმის გათვალისწინების
გარეშე წერა ქალაქის ფუჭად ხარჯვაა და
მეტი არაფერი.—უთხრა მას მეგობარმა
კრიტიკოსმა.

იასონი რომანის გეგმის შესახებ მთელი
ექვსი თვე ფიქრობდა, მაგრამ მისი გააზრე-
ბის ორგანოდან არავითარი გააზრება არ
გამოვიდა. იმედგაცრუებულმა იასონმა ფაქ-
ტიურად წერაზე ხელი აიღო.

—რატომ ნოველებს არ სწერ, სცადე
პატარა მოთხრობები მცირე ფორმის ჟანრე-
ბი—ურჩია მას მეგობარმა მწერალმა.

—რატომ მცირე ფორმის ჟანრები? სერ-
ვანტესი, ბალზაკი, ტოლსტოი, მრავალსე-
რიან რომანებს სწერდნენ და მე ნოველების
ნაჭუჭში დავეტიო? რატომ ვწერო მცირე
ფორმის ჟანრებით? დაბალი ლობე ხომ არა
ვარ? რაკი ასე მამცირებ, დღეის შემდეგ
სალამს აღარ მოგცემ.—უპასუხა მეგობარს
იასონმა და პროტესტის ნიშნად ზურგი შეა-
ქცია.



1. მას ქლიდებულ მზროლულად მიაჩნია თავი, იმიტომ, რომ თიოვის არასოდეს არ აღედგნ მისანს.

2. საერთოდ წყალს გაურბის, ისე კი შესანაზნე მტრობიად თვლის თავს, რადგან... სრული შეგურვილობით ცურავს ხოლმე.





3. ჭოვორც მორბენალს, ბაღალი ირა ჰყავს, ვინაიდან... სა-მუშაოდან ყველაზე ადრე გამოირბის.

4. სიღინეუ და აუტყარებლობა, —საოკრესენტო ის ლევიზო, მას... აი, ისე ესმის.



5. დიდათ უჯვარს თვებაობა და .. ბზირად იქერს ღოშებს იქ, სადაც სხვები დარგახსაც ძღვის შოულაზენ.

6. მაგრამ საოკრესენტოს სახეზედან ყველაზე მეტად გატაცებულია სიმპიუეტის აწევა-ვაღატაობით და მართლაც... თავისუფლად მოაქვს ასეთი სიმამიგები მიუღიანებუბიან.



1. „ჩიზხურჩიგობის“ სამარაველის თანამშრომელს მუშაობის დროს მაგიდაზე ჩამოეძინა.

2. მძინარე თანამშრომელს თვალი მოკრა მშობრეველმა და თქვა — ეტეც შენ, ხომ დაგიბრძა!




3. მისი „რიხხვა“, რომ ცლიაქმეზაზე არ უყოლიაო აზურბული, მოქმედების შეგროვებას შეუღდა მშარათელო.

4. მოქმედების ხეცმო რაოდენობას რომ მთუყარა თავი, დამანებულის რაისს მათუზა.



5. დამინებულის გამოღვიბება დემონსტრატოლოდ მოხდა.

6. მაგრამ... პოი საკვირველებზე გამოღვიბებულმა დამშვიდებით განაცხადა: — მუ გამოიხსლებით ამხანავეგებო, მშარათელოს შედგენილ ცარკულარის ციხთულოზიდა და -ძალიან გამბრცა...!



სირცხვილია ძილი ასეთ მშვენიერ დილას, როდესაც იგი მზის სხივებით არის გაბზუყინებული.

მაკაროვმა თვალეზი გაახილა და ისევ დახუჭა. ხმა-მალლა დამთქვარა. მარჯვენა ფეხის ენერგიული გაკვრით გადაინახა საბანი, სარკმელთან მიიბრინა და გაალო იგი და...

სამინლად გაუკვირდა, როდესაც ცხვირწინ დინახა მთა რომელსაც ამაყად აღემართა თქვრის ბუხრის ქუდიანი თავი.

—საიდან გაჩნდა აქ ეს მალლობი?—ხმაშალა გაიფიქრა მაკაროვმა.—არაფერი მესმის. ჰეი, ბები!—დაუძახა მან ქუჩაში მიმავალ მოხუც ქალს,—რა არის ეს? მოხუცი არ დიბნა:

—სახამთროა, ჩემო ძვირფასო, სახამთროა, ჩემო მტრედო. განა შენ თვითონ ვერ ხედავ?

—მე სერიოზულად გეკითხები: რა არის ეს? მოხუცი გაჯავრდა:

—რას გადამეკიდე?

—მე მაინტერესებს, საიდან გაჩნდა ეს მთა?

—ვაჰ, ამ მთას იქნებ გუშინ ათასი წელი შეუსრულდა.

—ოჰო! მაგ ხნის თუა, კარგად შენახულა. რა ჰქვიან მაგას?

—შენ ხომ არ გაგიყდი, შვილო? ეს მაშუკია! სწორედ ასე ეძახიან: მაშუკი.

მოხუცი თავის ქნევით წავიდა. მაკაროვმა იგრძნო რომ მართლაც შეიშალა.

—მაშუკი... როცა დასაძინებლად დაეწევი, სარკმლის წინ არაუკითარი მაშუკი არ ყოფილა. გამეღვიძა და აჰა—მაშუკი! მან კარგად იცის: მის მშობლიურ ქალაქში მთა სრულდებით არ არის. და უცებ ერთ ღამეს ჩქარი მშენებლობის წესით წარმოიშვა მთელი მაშუკი, მხატვრულად გაფორმებული სრულქმნილი კლდეებით, კიუხებით, ხავებით და ტყის მაშვიებით.

ესეგი მოქმედება პიატიგორსკში სწარმოებს. იქნებ მას სძინავს. მან ხარი დარეკა. წკრილი გაისმა.

„არა, ეს ძილი არაა. ძილში ხარები არ მუშაობენ.“ შემოვიდა ლამაზად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი.

—დილა მშვიდობისა. სასტუმროს მოსამსახურე პეტკინი გახლავართ, რით შემიძლია გემსახუროთ?

—მინდა ჩაი ან ნარხანი.

—არ ვინახავთ.

„არა ეს ძილია“—საბოლოოდ გადასწყვიტა მაკაროვმა.—მხოლოდ სიზმარში თუ ნახავს კაცი სასტუმროს ასეთ ზრდილობიან მოსამსახურეს.

მოსამსახურე პეტკინი გავიდა. მაკაროვი სარკმელთან დაჯდა და გარეთ დაიწყო ცქერა. ბაღში ბავშვები თმობანას თამაშობდნენ.

—ბიჭებო, ვის ეომები?—დაუძახა მაკაროვმა.

—თეთრ ფინელებს.—იყო პასუხი.

მაკაროვმა ვერაფერი გაიგო. საიდან არის ასეთი თამაში? გუშინ, დაძინების წინ მან რადიოთი მოისმინა უკანასკნელი ცნობები. იქ კრინტიც არ ყოფილა დაძრული ფინეთის შესახებ.

კარებზე დააკაკუნეს. პეტკინი შემოვიდა.

—საუზმეს ხომ არ მიირთმევთ?

—სიამოვნებით.

—ხორცეულიდან შეგიძლია შემოგთავაზოთ ანტრეკოტი.

—რაიმე თევზი არის?

—არის ახალი ფარგა.

—გამიკეთეთ ფარგა პოლონურად.

—კარგი, თუმცა, კაცმა რომ სთქვას, სეზონს არ შეეფერება: პოლონეთი ხომ აღარ არის.

—რა არ არის?

—ფარგა არის, პოლონეთი არ არის.

—თქვენ მაგას სერიოზულად ამბობთ?

—რას გულისხმობთ თქვენ: ფარგას თუ პოლონეთს?

—პოლონეთს.

—სერიოზულად და სამუდამოდ.

—როცა მე დასაძინებლად დაეწევი, პოლონეთი იყო, არაფერი მესმის. ჩემი ღვიძლი მამა მუშაობს პოლონეთის საზღვარზე, ქალაქ ზასლავში.

—თქვენი მამა აღარ ცხოვრობს საზღვარზე.

—თქვენ რაიმე გაგიონეთ მასზე? იგი სხვა ქალაქში გადაისროლეს?

—არა საზღვარი გადაისროლეს, რამდენიმე კილო-

მეტრით. ურნალ-გაზეთის მოგიტანთ. ყველაფერს გაიგებთ.

პეტკინი გავიდა. მაკაროვმა რადიო ჩაუერთა. ვილაკ ამთავრებდა სიტყვას. მან გაიგონა უკანასკნელი ფრაზა: „გაუმარჯოს ჩვენს თექვსმეტ მოკავშირე რესპუბლიკას!“

თექვსმეტი? როცა იგი იძინებდა, სულ იყო თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკა. როგორაა ეს?

მაკაროვმა თთაში გაიარა. მაგიდაზე, ყვავილის ქილის ქვეშ, ადგილობრივი გაზეთის ნახევი იდო. მან წაიკითხა დეპუტის ნაჭერი: კირკიარვიში აღდგენილია წყალსადენი“.

უცნაურია. რაში აინტერესებს პიატიგორსკის გაზეთს კირკიარვის წყალსადენი. მაშ აქაც გადაწეულა საზღვარი. და ყველაფერი ეს მოხდა ამ მოკლე დროში?.. არაფერი მესმის!

პეტკინმა ურნალ-გაზეთები შემოიტანა.

—წაიკითხეთ, ამხანაგო მაკაროვ. ბევრი რამ არის ახალი ამ ქვეყანად. დღეს წერილი მივიღე ბიძისაგან იზმაილიდან. იწერება, რომ...

—მოიცა, მოიცა, სად არის იზმაილი? ვგონებ...

—სრული სიმაართლეა, ბესარაბიაში.

—და დიდხანია, იქაა თქვენი ბიძა?

—მეხუთე თვეა.

—რას აკეთებს რქ?

—არმიაში მსახურობს პოდპოლკოვნიკად, მაკაროვი შემფოთდა.

—როგორ? თქვენი ბიძა მათთან მსახურობს პოდპოლკოვნიკად?

—მათთან კი არა, ჩვენთან. ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა ხომ საბჭოთა გახდნენ:

—როგორ მოხდა ეს?

—მაშინ, როდესაც თქვენ გეძინათ.

—ეს მითხარით, მე ახლა არ მძინავს?

—არა. განა ძილში ასეთი ფაქტები ხდება?

—მერე რასა გწერთ ბიძა იზმაილიდან?

—მწერს, რომ წერილი მიიღო მეგობრისაგან ქალაქ რიგიდან..

—მერე ვინ არის ის რიგელი მეგობარი?

—გენერალ-ლეიტენანტი.

—მერე და თქვენი ბიძა წერილებს სწერს გენერალს?

—აქ არაფერია არაჩვეულებრივი. ერთ ჩემს მეზობელსაც გენერალობა მისცეს ამას წინათ. მაგრამ იგია არა რიგაში, არამედ ტალინში, ესტონეთში.

—მერე როგორ აძლევს თქვენი ბიძა უფლებას თავის თავს? ა? იქნებ თქვენ იმის მტკიცებაც დამიწყოთ რომ გენერლებიც საბჭოთა არიან და ტალინშიც საბჭოთაა...

—უსათუოდ გეტყვი. დაგუმატებ კიდევ: კაუნასი, ლიტვის დედაქალაქი, აგრეთვე საბჭოთა ქალაქია მოდით, ამხანაგო, ამ კედელთან და შეხედეთ ევროპის ახალ რუკას. სულ ახლო წარსულში იქ იყო ყვითელი, იასმინისფერი მკრთალურჯი ლაქები, ახლა კი წითელია, ჩვენი დროშების ფერი.

—შესანიშნავია,—წამოიძახა მაკაროვმა და რუკას დააკვირდა.—დაწმუნებული ვარ, რომ როგორც იტყვიან... გაგრძელება იქნება. ერთი რამ არ მესმის: მე მგონია, სულ ერთი ღამე მეძინა. რამდენი მეძინა ნამდვილად?

* * *

ვუბასუხებთ მაკაროვის უკანასკნელ კითხვას. ჩვენს პატარა მოთხრობას საფუძვლად დაედვა ნამდვილი ფაქტი. გაზეთებში იყო ცნობა პიატიგორსკიდან, რომ იქ 1939 წლის აგვისტოში ჩასულა ერთი მოქალაქე, დასძინებია საღათას ძილით და დღესაც სძინავს.

ჩვენ წარმოვიდგინეთ: ამ კაცს გაეღვიძა და ჰგონია, რომ მხოლოდ ერთი ღამე ეძინა. რასაკვირველია, იგი მეტად განცვიფრებული დარჩება. ჯერ კიდევ კოხმა პარუტკოვმა სთქვა:

—როცა სამყაროს ვუცქერი, არ შეიძლება არ განცვიფრდე...

თავი იხარისლა

ნან. ა. კანდელაკისა და მ. ოთაროვისა



— რატომ გაცვიათ ასეთი შავი და ქუჩუიანი ხალათი?

— ვა, რას მეკინქლავები: შენ თეთრი პური წაიღე, ჩემი შავი ხალათი რას გიშლის?



ვინდლო ამა კუპლეტებში გამოიციხნოთ თქვენ ზოგ-ზოგი. ერთ დირექტორს შეეკითხნენ: —რამდენი გაქვთ დანაზოგი?

უპასუხა:—დანაზოგი? ათას თუმანს სჭარბობს განა! თუმც გვჭირდება, მაგრამ მაინც არ ვიყიდე მე მანქანა:

ჩვენი დროის ამბებს ვამბობ, არ თუ ზღაპრებს ძველის-ძველებს, არის ერთი არტელი და ის ამზადებს ტანსაცმელებს.

იმ არტელის თავმჯდომარემ თავი იმით ისახელა: თოვლში ჩითს და ტილოს უშვებს, შალს და ბამბას—როცა ცხელა.

კლუბის გამგეთ მიიწვიეს ხელოვნების „მცოდნე“ პირი,— ჩონგურის წრე გააუქმა, ცდილობს გააუქმოს ტირი.

სეფედავლე.



— აღმაშფოთებელია, ასეთი წვირიანი სუფრების გადაფარება. როდის გამოხცვალეთ? — ბოდაში... მე ეგ არ ვიცი, რაჯგან ხულ რაღაც ნახევარი წელია, რაც აქ ვმუშაობ.

ისჯორიული ანეგდოვები

ვინ არის უფრო ბედნიერი?

ერთმა ათინელმა შესჩივლა ბრძენ სოკრატს, ფეხით ვსვირ-ნობდი და დავილალო.

— გახლდა თუ არა შენი მონა?—ჰკითხა სოკრატმა.

—კი, უპასუხა მან.

—მას მოჰქონდა რამე?

—დიდი ფუთა.

—ალბად იგი ძალიან დაიღალა.

—არა, შემდეგ კიდევ სხვაგან გავგზავნე იგი.

—აი, ხომ ხედავ, —სთქვა სოკრატმა,—მონასთან შედარებით შენ უპირატესობა მოგცა იღბალმა, მონას კი შენთან შედარებით უპირატესობა მისცა ბუნებამ. შენ ხარ მდიდარი და თავისუფალი, ის კი ღარიბი და უთავისუფლო, მაგრამ ღონიერი და ჯანსაღი. შენ თვითონ მითხარი, ვინ არის თქვენ ორში უფრო ბედნიერი?

ავადმყოფი და ვოლტერი

ვოლტერი ძალიან ავად იყო. მასთან მივიდა ერთი უნიჭო მსახიობი, რომელსაც მეორე დღეს უნდა ეთამაშნა ვოლტერის ტრაგედია „ტიტში“.

—მეტად ცუდად ვარ,—უთხრა ვოლტერმა მსახიობს,—მეშინიან, ხვალ არ მოვკვდე.

—ნუთუ თქვენ მართლა ასე ავად ხართ?—შეშფოთდა მსახიობი,—მაშინ როგორღა ვითამაშებ ხვალ თქვენს „ტიტს“?.

—თქვენ თამაშობთ ჩემს ტრაგედიაში?—წამოიყვირა ავადმყოფმა,—მაშ მე ხელამდეც ვერ გავძლებ.

ბრძნული პასუხი

სოკრატეს უთხრეს, რომ ერთი კაცი მას ავად იხსენიებს ზურგს უკან

—რა ვუყოთ მერე? რას მიშავებს ეს?—უპასუხა ფილოსოფოსმა,—განაგრძოს, თუ სურს. თანახმა ვარ, მცემოს კიდევ,—ზურგს უკან, რასაკვირველია.

არ აწყენინა

ნახ. ღონისა



თქვენი რომანი კარგია, ოღონდ ცოტათი ეხა მოიკოტლებს, სიუჟეტი სხვისაგან არის ნახესხები, სტილი მოღარბებებს და ამასთან, ტიპებიც არარეალურია, მიუხედავად ამისა, წარმოიდგინეთ, ვერ დაგბეჭდავთ.

(დიალოგი).

— ნულარ მკითხავ ტასიკო, რამდენი მაქვს დარღვებები უსათუოდ ხვალ დილაში წყალში გადავარდები.

— ქა რას ამბობ, თამრიკო, ცუგრუმელა შევთვალა? ნუ თუ შეყვარებულმა გილალატა, გაგცვალა?

— ხა—ხა—ხა!... შენ კარგად ვერ გაიგე ცხადია. მე ხვალ ცურვის რეკორდი დავამყარო მწალია.

— ასე გეთქვა შე ქალო, გამინებთქე გულია. სიყვარულით მეგონე დამწვარ-დადაგულია.

მალალი.

ყველასთვის არის ნათელი

(ლანჩუთის მოზრ. საშ. სკოლისათვის)

მე ყველა დამეთანხმება, ყველასთვის არის ნათელი: თუ ღმერთი მეცადინებო, უნდა ანთო სანთელი. მაგრამ ესე სჩანს არა სწამს, ვინაც სკოლას ჩვენს განაგებს, შუქისათვის ის არ ზრუნავს, არც ღამებში გვამარაგებს. ამ მიზეზით ჩვენი სკოლა გაკვეთილებს აცდენს ხშირად, ნიანგოჯან, შენ რას იტყვი? შენი სიტყვა გვიღირს ძვირად!

პ. ლელისპირელი.

სამსახურის დამთავრების შემდეგ ის, მიპქროდა სახლისაკენ. ერთი თვეა რაც ცოლი შეირთო სევერიანმა და უნდა თავისუფალი საათები მუშაობის გვერდით გაატაროს.. ანიკო მას ელის, მუდამ კარებში ეგებება ხოლმე, ერთის სიტყვით, სევერიანი კმაყოფილია თავის არჩევანით.

ჰოდა აი ახლაც სევერიანი გაღიმული სახით მიაჩერდა კარებს, საიდანაც ანიკო უნდა გამოჩენილიყო. მაგრამ... ანიკო არსად სჩანდა. ავად ხომ არ გავდაო,—უეცრად გაუელვა თავში. სახლში სასწრაფოდ შეიჭრა. წინა ოთახიც ცარიელი დახვდა, თუმცა სადილი უკვე გამზადებული იყო. მეორე ოთახიდან ჩუმი მოფერებითი ჩურჩული მოისმოდა.

— ანიკო!—დანიძახა სევერიანმა და ოთახისაკენ გაიწია, ამ დროს კარებიც გაიღო, ანიკო თითქოს დარცხენილი გამოვიდა, კარები უეცრად მიხურა, სევერიანს დამნაშავესავით შეხვდა.

— ოხ, მოხველი სევერიან, აი მეც ეს ეს არის დავბრუნდი. სევერიანმა რაღაც უნდობლად გადახედა ანიკოს.

— სად იყავი?

— ბაზარში.

ცოტახანს სიჩუმე ჩამოვარდა... ანიკოს თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა და ვერ ბედავდა... სევერიანმა ანიკოს ხელი მოკიდა, გაუღიმა, თავი მალა ააწვეინა, თვალეში გამომცდელი სახით ჩახედა და ტკბილად უთხრა:

— რათა გრძნობ გენაცვალე ეს უხერ-

ხულად, თითქოს რაღაც გინდა მითხრა და ვერ მეუბნები, მითხარი.

— არაფერი სევერიან, აი ეხლა ბაზრიდან რომ მოვიდიოდი, კლარა ცეცხლის ქუჩას გამოვციდი თუ არა, ამეღვენა... სევერიანი აი-მრიზა, თავში ათასგვარმა ეჭვებმა გაურბინა და ანიკოს აზრის დამთავრებამდე მიახალა:

— კი მაგრამ, მთელ ქუჩაზე ერთი მილიციონერი მაინც არ გამოჩნდა, რომ მიგემართა დასახმარებლად?

— მილიციონერისთვის რატომ უნდა მიმემართა, ის რა შუაში იყო?

— როგორ თუ რა შუაში, მაგის გული-სათვის მე რომ მილიციონერის ადგილას ვყოფილიყავი, სულ ტყავს გავაძრობდი...

— რატომ მიჭაურდები, გენაცვალე, აბა რა გავაკეთე ისეთი, რომ ასე აღელვება გამოიწვია შენში; რომ ასე მცოდნოდა, მაშინ რა ეშმაკი გამიწყებოდა და სახლში მოვიყვანდი...

— ოოხ! საზიზოარო დედაკაცო, მაშ ამით გადაიხადე ჩემი სიკეთე და ასე გამოიყენე ჩემი ნდობა?—დაიღრიალა გამწარებულმა სევერიანმა, ჯოხს ხელი წამოაიღო და მეორე ოთახში გიჟივით შეიჭრა.


— არ მოკლა შენ გენაცვალეო,—დაიკივლა ანიკომაც და ქმარს უკან გამოეკიდა...

სევერიანის მიერ ჰაერში მრისხანებით აღმართული ჯოხი უეცრად ძირს დაეშვა... სევერიანის გაშტერებას საზღვარი არ ჰქონდა.. მის წინ ორფეხზე მოკრძალებით იდგა თავდახრილი და შიშისაგან აცახცახებული ღამაზი პატარა ლეკვი.

დ. გ—ლი.

განმარჯვა

ნან. მ. ლებეშვიცა



— სიცხე უნდა გქონდეს, ან სხეულის რომელიმე ნაწილი უნდა გაგიტყდეს, ისე ბიულეტენს ვერ მოგცემთ.

— მეტი რაღა უნდა გამიტყდეს, ექიმო, გული მაქვს გატენილი, თანამდებობიდან ჩამომაქვეითეს...

ეღვი

ლუარსაბ თათქარიძე თელავის სასტუმროს დირექტორად

თელავი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც გაიხსნა თელავის სასტუმრო, მის დირექტორს ჯერ კიდევ არ გაახსენდა სასტუმროსათვის უბრალო სარკეების და პირისაბნების შეძენა. ამას მოქალაქენი იმ მიზეზით ხსნიან, რომ ვინაიდან სასტუმროსთან სასადილოს მოწყობამ ბუზები გაამრავლა, დირექტორი მეტისმეტად არის „საქმეებით“ გადატვირთული და თავის პირდაპირი მოვალეობის შესასრულებლად ვეღარ იცლისო.

ჩხიკვი.

გზის ენთუზიასტები

ზესტაფონი. ზესტაფონის რაიონმასკომის საგზაო განყოფილებამ გადასწყვიტა, ვინაიდან მთიან სოფლებში, როგორც არის წიფლავაქე, წვევა, სანახშირე, მარტოთუბანი, ბოსლევი და სხვა, —ავტოთი მისასვლელი გზები ციდან არ ვარდება,—მდინარე ყვირილის შეავტუხა ტალღებს გაატანოს საგზაო მშენებლობის გეგმა.

კვიმატი.

შანაკო მსხვერკალი

თელავი. რკ. გზის სადგურის ბუფეტში მოულოდნელად აფეთქდა შმორიანი წყლისაგან დამზადებული ლიმონადის ბოთლი. ბოთლიდან ამოხეთქილი „სურნელებით“ ცნობდაკარგული მგზავრები ჯერაც არ მოუბრუნებიათ. გამოძახებულია სანიტარული რაზმი.

ქედანი.



— ცუდათა საქმე! ჩვენ არ ვიცით რა მოგვივა 15 დლის შემდეგ...
— ეს კიდევ არააფერია! საქმე გაცილებით უფრო ცუდათაა: მათ იციან თუ რა მოუვათ 15 წლის შემდეგ.



„ხვალ იქნება“.

სოფელს ძველსა აბაშასა
 აქვს სამჭედლო საკუთარი,—
 სახურავი არ უვარავა,
 კედლებშიც დაჭქრის ქარი.
 აქ მჭედელი ცომაიაც
 მე ვახსენო დამრთეთ ნება,
 მას სახელად ჟორჯი ჰქვიან,
 უნდა ერქვას „ხვალ იქნება“.
 რადგან ვინც რას დაავალბს
 თუმც არ უყვარს წყენინება.
 შეპირდება: „გაგიკეთებთ,
 მოიკითხეთ, „ხვალ იქნება“
 მაგრამ თავის შეპირებას
 ის ივიწყებს ძლიერ მალე,
 მეორე დღეს თუ მიხვედი
 ისევ გეტყვის „მოდი ხვალე!“
 ერთი ჰკითხე რად გვატყუებს,
 ნიანგოჯან, გენაცვალე.

ა. ჭ.

არამოლოგიური გათხრები

ამა წლის 18 თებერვალს მოაწყვეს არქე-
 ოლოგიური გათხრა ნატანების საკოლმეურ-
 ნეო კლუბის ერთერთ კუთხეში, იქ დაგრო-
 ვილ ნაგავში აღმოაჩინეს ისტორიული მნი-
 შვნელობის ძეგლები: ჭადრაკის 6 ფიგურა,
 შაშკის 4 ქვა, ბილიარდის ჩომხატური და 2
 შარი, ერთი მაკრატელი და ორი წიგნი.

მეცნიერების აზრით, ეს ნივთები კოლექ-
 ტივიზაციის პირველ ხანას ეკუთვნის.

ნივთების უმრავლესობა ხმარებაშია შე-
 სული.

ნაღმი.

ბარათი ნინოს

(წყალტუბოსთვის)

შენს ბარათზე პასუხსა გწერ
 საყვარელო ჩემო ნინო,
 მაგრამ ვშიშობ: ვახ, თუ ამით
 გაგაბრაზო, გაწყენინო.

ასე მწერდი: მიპასუხე,
 დაჩქარებით გამეც ხმაო,
 გენაცვალე, ჩემი ტუფლი
 თუ შეპყვრა არტელმაო?

მე არტელის გამგე გრიგოლს
 შევეკითხე, იქ ვიყავი,
 მაგრამ ასე მიპასუხა:
 —ვერ შეგვეკვრა, არ მაქვს ტყავი!

თუმცა ტყავი ხელთ ეჭირა
 როცა მოხდა ეს ამბავი.
 გირჩევ თვითონ ეახლო რომ
 შეაბრალო იქნებ თავი.

გ. ფარცხელი.

ბორჯომი

არ მინდა ეს ამბავი
 დარჩეს დაუსტამბავი:
 აქ სატვირთო სადგურში
 ყრია ბევრი ნაგავი.

„ზავოტზერნოს“ საწყობქვეშ
 წყაროც აღმოჩენილა,
 აქ კულტურის დამნერგი
 ჯერ არ გამოჩენილა.

ლ. ძნელაძე.

რკინიგზელთა ფურნის წინ
 მეტრზე ლაფი ჩამდგარა,
 ფურნის გამგე ტალახში
 სამჯერ კისრით ჩამხტარა.

ფურნეში რომ შეხვიდე,
 ვერ პოულობ ასაქცევს,
 მის გაწმენდას არავინ
 ყურადღებას არ აქცევს.

კლუბის გვერდში თხრილია,
 თხრილში—ლურჯი წყალია...
 სადაც მორიგეობით
 ცვივა კაცი, ქალია.

(ამბობენ, რომ ეს ყველა
 კლუბის გამგის ბრალია)
 ბორჯომ-ბაღის სადგურშიც
 თხრილი არის გაჭრილი,

ამ თხრილში მრავალია
 ხარახურა ჩაყრილი.
 სანიტარულ ექიმსაც
 აქ კაცი ვერ ნახულობს,

ამბობენ, რომ სახლშია
 და ამჟამად მარხულობს.
 აქ ბაზარიც ყოფილა
 უსისტემოდ ნაგები,


არავინ აწყობს, თუმცა კი
 მიაქვთ გამოსაღები.

სამკურნალო აბანოები


ნან. დონისა

„ზოგიერთ ჩვენს სამკურნალო აბანოებში ექთანებს „ავიწყდებათ“ აბაზანებში ტემპერატურის გასინჯვა“.

ზ. ა.



1. აბაზანაში ისე ცხელა, რომ ავადმყოფს სული ეხუთება.



2. აბაზანაში ისე ცივა, რომ ავადმყოფი კანკალებს.



3. ექთანს კი არც სცივა და არც სცხელა.



შევეთას
ვასილევს
სწრაფად.

—გთხოვთ შემოიკროთ ამ ზომის პალტო ჩემი ბავშვისათვის
—რას ბრძანებთ, ეს ხომ დიდი კაცის ზომაა?
—არაუშავს, ვიდრე თქვენ შეკვეთას შეახრულებთ, ჩემი ბავ-
შვიც გაიზრდება.

"იმედი" არის სოფელ მაიაკოვსკის ფეხსაცმელის მწარმოებელი ბელი არტელი, რომელიც ამართლებს სახელწოდებას "იმედი".
ეს თქვით მიაბარეთ ამ არტელს შესაკეთებლად ფენსაცმელი. თქვენ იმედი გაქვთ, რომ იგი მზად იქნება დანიშნული დროისათვის, მიხვალთ და ნახავთ, რომ თქვენი იმედი ფუჭია. წახვალთ სახლში იმ იმედით, რომ ფენსაცმელები შემდეგვისათვის მიიწენენ მზად, მაგრამ, როცა არტელ "იმედს" მიადგებით აღმოჩნდება, რომ თქვენი იმედი გაცრუებულია.
თქვენ განაგრძობთ ცხოვრებას იმ იმედით, რომ ოდესმე ფენსაცმელს შეაკეთებენ და ბოლოს, იმედს საცემით დაჰკარგავთ.
გ. ლ-ი.

გალაქარბაბულა მორიღებული
(სენა კუჩაში)

—დიდი ბოდიში, ამხანაგო, შეწუხებისათვის! — უთხრა კორფლიანმა ჩია ტანის ახალგაზრდამ სათვალეებიან მსუქან კაცს და შეაჩერა გაღასახვევთან.
მსუქანმა კაცმა სათვალეების ზემოდან გადმოხედა კორფლიანს, პირიდან თამბაქოს ბოლი გამოუშვა და ზანტად შეეკითხა:
—რა გნებავთ?
—ხულიგნობად კი არ ჩამითვალთ, თქვენ გენაცვალე, მე მხოლოდ, თუ ნებას მომცემთ...
—ბრძანეთ ამხანაგო, რა გნებავთ! — ცოტა არ იყოს მკვებედ განუმეორა მსუქანმა და კიდევ დააქერდა სათვალეების ზემოდან და კიდევ გამოუშვა ბოლი პირიდან.
—არა, თუ გეწყინებათ მაშინ არაფერი მინდა, თქვენ გენაცვალე!
—რა უნდა მეწყინოს; ან რა უნდა გამიხარდეს? აღარ იტყვიოთ თქვე ოჯახსა შენებულო?
—არა, მაინცდამაინც საწყენი ან გასახარელი კი არაფერია, მე ისე, ამხანაგურად მინდოდა მომემართა... თუ შეიძლება ცეცხლი მომაკიდებინეთ პაპიროსზე!
მალაღ-მალაღ

ჩვენ უოსვა

იურის (სადგ. გომი) გვირდებით, რომ „გამოგვიგზავნით ყოველდღიურად მეტად კარგ და სიმართლის შემცველ წერილებს“, კარგი იქნება თუ ყოველდღიურად თავს არ შეიწუხებთ.
უმჯობესია ცოტა და კარგი, რაც არ შეიძლება ითქვას თქვენი ლექსის შესახებ „გზავნილება გომიდან“, რომლის სტრიქონები ასეთია:

სასადილო გომსა რომ აქვს,
ვასაკვირი არის ნიანგ,
პურის ჭამა რომ ვინდოდეს,
ვერ იშოვი ლობიოს მეტს...

გოგოურაულს (ქუთაისი) თქვენ წერთ, რომელიდაც ლამაზზე:

„ლამაზიც არის, ჰკვიანიც,
ვერ ჰპოვებთ იმის დარსაო.
სურვილს სულ ყველას უსრულდება,
მუდამ ატყუებს ქმარსაო“.

ამხ. გოგოურაულო, მამხილებელი მასალები მოითხოვენ დასაბუთებას, თქვენ კი გვარსაც არ ასახელებთ და ლამაზა, ვინ დათვლის რამდენია. მეორე ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ ის „ლამაზი და ჰკვიანი“ ლამაზა ყველას უსრულდება სურვილს, მაგალითად, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი სურვილი მას არ შეუსრულებია და მხილებაც პირადი ინტერესით არის გამოწვეულა. ასეთ მასალებს ჩვენ ვერ დაგებუდავთ.

ვიხიკო დარღვივილს (ჭიათურა) მივიღეთ თქვენი ლექსების რეგული, რომელსაც წინასიტყვაობის ნაცვლად წამძღვარებული აქვს ლექსი:
„რომელ რედაქტორს შევებრალე,
ვისა აქვს ისე კეთილი გული,
ვინ მთხლიშებს შუბლში მე ჰონორარებს,
რადგანაც ძლიერ მჭირდება ფული“.
გავეცანით რა, თქვენი ლექსების რეგულს, უნდა გამოგიტყდეთ, ჩვენ ისეთი „კეთილი გულის“ რედაქტორი არ გვეგულება, რომელიც „გთხლიშებთ ჰონორარს შუბლში“. ამიტომ გირჩევთ ლექსების წერას ხელი უშვათ და სხვა რამეს მოახმარეთ თქვენი ენერგია.

ვეუზრალეველს (ჩოხატაური) თქვენი ლექსი „ამბები ჩოხატაურში“ შეუბრალეველად „სცხებს“ არტელს, კულტმაღაზ ას, საშუალო სკოლას და კიდევ სხვა დაწესებულებებს. მოვიყვანოთ ნიმუშს თქვენი ლექსიდან.
ახლა სკოლაზე მოგიტხრობთ,
უარყოფითი თუ რა არი
მისი ეზო გაშლილია
როგორც დარღვილის კარი.
თუ შემოხსენებულ დაწესებულების მიმართ თქვენ მართლა შეუბრალეველობას იჩენთ, ჩვენ რა დაგიშავებთ?

საკრედიტო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. 5. ტელ. 3-74-67

გადაეცა წარმოებას 1941 წ. 24/II. ხელმოწერილია დასაბუთებით 1941 წ. 2/IV გამ-ბა „ზარია ვოსტოკას“ ა. ფ. მიანნიკოვის სახ. სტამბა ქ. თბილისი.



— ხედავ, ჩვენს მმართველს, ამ შუადღისას როგორ გაუჩირაღდნება ელექტრონით კაბინეტი? ეტყობა სრულიად არ ზოგავს ენერჯიას.
 — პირიქით, მე მგონია, ის ძალიან უფროსილდება ენერჯიას, ვერ ხედავ როგორ არხეინად წამოწოლილა?